საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1000 2016 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მარტის №465 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მარტის №465 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრების ფარგლებში, საზოგადოების ინფორმირებისა და სარეკლამო კამპანიის ხარჯების დასაფინანსებლად მიმართოს არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი